

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა გამთხატვის თავისუფლება და მედია გაშუქება

ოქტომბერი 2021



დოკუმენტი მომზადებულია ორგანიზაცია პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის პროექტის - „ქალთა გაერთიანება - საქართველო, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა და გოგონათა ხმის გასაძლიერებლად“ - ფარგლებში. პროექტი ხორციელდება გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და მდგრადი განვითარების ერთობლივი ფონდის მხრდაჭერით გაეროს ერთობლივი პროგრამის ფარგლებში - „სოციალური დაცვის სისტემის გარდაქმნა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებისთვის საქართველოში.“

წინამდებარე დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შესაძლოა არ გამოხატავდეს ან ემთხვეოდეს გაეროს ქალთა ორგანიზაციის და/ან მდგრადი განვითარების ერთობლივი ფონდის მოსაზრებებს.

ავტორები: ანა აბაშიძე, ანა არგანაშვილი.

© 2021 პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის (PHR) 2021

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა გამოსატვის თავისუფლება და მედია გაშუქება

ნოემბერი 2021



სარჩევი

აბრევიატურები	5
შესავალი	6
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხების გაშუქება მედიაში	6
გამონათვის თავისუფლება და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები	6
CRPD და გამონათვის თავისუფლება	8
ისტორიული გამოცდილება	9
ხშირად გამომრეპული მედია სტერეოტიპები	10
შშ პირი - სიბრაღის ობიექტი	10
შშ პირი - ძალადობის ობიექტი	11
შშ პირი - სუპერ გმირი	11
შშ პირი - დაცინვის ობიექტი	11
შშ პირი - ტვირთი	12
შშ პირი - სექსუალურად არააქტიური ადამიანი	12
მედიის პოზიტიური როლი	13
მედიაში გამოყენებული ტერმინები	13
გაშუქებისას არსებული რისკები	14
მონყალების მიმღები	14
შშ პირის ინდივიდუალობა	14
კომედია, ხენსაცია, სუპერგმირობა მედიაში	14
რეპორტაჟების მოზადების დროს გასათვალისწინებელი მნიშვნელოვანი საკითხები	15
ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე პირები მედიასა და სოციალურ მედიაში	16
ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე პირები და სოციალური მედია	18
უსაფრთხოება და დაცვის ღონისძიებები	19
სოციალური იდენტობა	20

მხარდაჭერა სოციალური ქსელის გამოყენებაში	20
ურთიერთობები	21
ბედნიერება და სიამოვნების განცდა	21
სოციალური მედიის შინაარსი	22
კომუნიკაციის უნარი და წიგნიერება	22
კიბერკომუნიკაცია და კიბერბეჭდვები	23
მისაწვდომობა	23
შეჯამება	24

აბრევიატურები

UDHR	ადამიანის უფლებათა უნივერსალური დეკლარაცია
ECHR	ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო
UNCRPD	გაეროს საერთაშორისო კონვენცია შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ

შესავალი

აღნიშნული პუბლიკაცია, უპირველეს ყოვლისა, განსაზღვრულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა და მათი მოკავშირეებისათვის, რომელთა ხმაც უნდა გაძლიერდეს საზოგადოებასა და მედიაში. იგი ასევე განკუთვნილია იმ ჟურნალისტებისა თუ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის, რომლებსაც სურთ წვლილი შეიტანონ შშმ პირთა საკითხების სწორად გაშუქებაში.

პუბლიკაციის მიზანია გამოხატვის თავისუფლების იდეის მხარდაჭერა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის, აგრეთვე, კონტრიბუცია ამ კუთხით მედიის როლის გაძლიერებაში, ეთიკური მედიის მხარდაჭერასა და სტერეოტიპების ცვლილებაში.

პუბლიკაცია მოიცავს რამდენიმე ისეთ საკითხს, რომელთა შესახებაც ხშირად მიმართავენ კითხვებით ორგანიზაციას „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“. ამავე საკითხზე ხშირად იწერება საჩივრებიც. თუ გვეჩვენა წინასწარი შეთანხმება ამა თუ იმ საკითხის გაშუქებაზე, აგრეთვე, მედიის უდიდეს როლზე საზოგადოებრივი სტერეოტიპების დაძლევაში, ბევრ საფრთხეს ავიცილებთ თავიდან და მედიასთან ერთად უფრო ეფექტურად დავიცავთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებს. პუბლიკაციის ბოლოს მიმოხილულია ისეთი მნიშვნელოვანი თემა, როგორცაა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა გამოხატვის მხარდაჭერა სოციალურ მედიაში, რომელიც მედიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და სწრაფად განვითარებადი სივრცეა.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხების გაშუქება მედიაში

გამოხატვის თავისუფლება და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები

იმისათვის, რომ ვიმსჯელოთ მედიაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა (შემდგომში შშმ პირი) და მათ შესახებ ინფორმაციის გაშუქების სტანდარტებსა და შეზღუდვების ლეგიტიმურობაზე, უპირველესად, უნდა განვიხილოთ თავად გამოხატვის თავისუფლება, როგორც ფუნდამენტური უფლება.

გამოხატვის თავისუფლება არის კონსტიტუციური დემოკრატიების სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ნაწილი. ის, როგორც ფუნდამენტური ღირებულება, აღიარებულია ადამიანის უფლებების ყველა საერთაშორისო დოკუმენტში, როგორცაა: ადამიანის უფლებათა უნივერსალური დეკლარაცია (UDHR)¹; ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია (ECHR)²; გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია(UNCRPD)³.

1 Art 19 UDHR. See also Art 19 International Covenant on Civil and Political Rights (ICCPR); First Amendment to the United States Constitution; UN Human Rights Committee, General Comment No. 34, Freedoms of Opinion and Expression, CCPR/C/GC/34 (Adopted at 102nd session Geneva, 11-29 July 2011).

2 Art 10 ECHR; see also Art 19 ICCPR; Art 5 (d) viii, ICERD.

3 Art 21 CRPD on “Freedom of expression and opinion, and access to information”.

გამოხატვის თავისუფლება სამოქალაქო-პოლიტიკური უფლებაა, რომელიც ადამიანს აძლევს თავისუფლებას გამოხატოს თავისი აზრი, დამოკიდებულება, იდეები საუბრისა და ინფორმაციის გავრცელების ფორმით. „გამოხატვის თავისუფლება“ და „სიტყვის თავისუფლება“ ხშირად სინონიმებად გამოიყენება და ორივე გულისხმობს ადამიანის უფლებას მოიძიოს, მიიღოს, გაავრცელოს ნებისმიერი სახის ინფორმაცია ნებისმიერი გზითა და მედია საშუალებებით (მათ შორის, ტელევიზია, რადიო, ბეჭდური, ონლაინ მედია, ინტერნეტი და სხვა). ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ცნობილი საქმიდან **Handyside v. United Kingdom**⁴ ამონარიდი ცხადყოფს სიტყვის და გამოხატვის თავისუფლების მნიშვნელობას და ფარგლებს:

„სიტყვის თავისუფლება არის ერთ-ერთი ფუნდამენტური ნაწილი დემოკრატიული საზოგადოებისა, ის აუცილებელია საბაზისო პროგრესისა და ყველა ადამიანის განვითარებისთვის. კონვენციის მე-10 მუხლი იცავს არა მხოლოდ ინფორმაციის ან იდეის მოპოვება - გაზიარებას, არამედ ის იცავს, მათ შორის, შეურაცხმყოფელ, შოკის მომგვრელ და გამაღიზიანებელ სიტყვასაც, რომელიც შეიძლება მიუღებლად მიაჩნდეს როგორც სახელმწიფოს, ისე საზოგადოების ნებისმიერ წევრს. ეს საჭიროა პლურალიზმის, ტოლერანტობის და ფართოდ აზროვნებისთვის, რის გარეშეც დემოკრატიული საზოგადოება არ არსებობს“.⁵

მიუხედავად იმისა, რომ ყველას შეუძლია ჰქონდეს განსხვავებული მოსაზრება და შეხედულება, ამ აზრებისა და შეხედულებების გამოხატვის უფლება არ არის აბსოლუტური უფლება.⁶ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 (1) მუხლის თანხმად, ყველას აქვს სიტყვის და თავისუფლად გამოხატვის უფლება ყოველგვარი ჩარევის გარეშე, ეს მუხლი ვერ დააბრკოლებს სახელმწიფოს უარი თქვას რადიომუწყებლობის, ტელევიზიისა და კინემატოგრაფიულ სანარმოთა ლიცენზირებაზე.

ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-10 (2) მუხლი აწესებს გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის შეთხვევებს, რაც კანონით უნდა იყოს მონესრიგებული და ემსახურებოდეს დემოკრატიულ საზოგადოებას, სახელმწიფოსა და საზოგადოების უსაფრთხოებას, ტერიტორიულ ერთიანობას. შეზღუდვა აუცილებელი უნდა იყოს დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობის⁷, საზოგადოებრივი მორალის, სხვათა რეპუტაციისა და უფლებების დასაცავად.

ჩამოთვლილთაგან შშმ პირებთან დაკავშირებით ყველაზე რელევანტური საფუძველი თავისუფალი სიტყვის შეზღუდვისა შეიძლება იყოს „სხვათა უფლებების“ დაცვის მიზანი. მაგალითად, შეურაცხმყოფელი, დისკრიმინაციული, სიძულევილის ენის გამოყენება შეზღუდული შესაძლებლობის თემებსა და ინდივიდებზე მედიის საშუალებებით. ადამიანის უფლებების ევროპულმა სასამართლომ საქმეში **Sigma Television and Radio Ltd v Cyprus**⁸ განიხილა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის შესაძლებლობები სანქციების გამოყენების გზით იმ შემთხვევაში,

4 Handyside v. United Kingdom, App. No. 5493/72, 7 December 1976.

5 ibid §49. This quote encapsulates two of the main theoretical rationales for the protection of expression, namely freedom of expression as an integral aspect of each citizen's right to selfdevelopment and fulfilment and freedom of expression as it enables citizens to participate effectively in a democracy, which are discussed *supra*.

6 Anne Weber, Manual on Hate Speech (Council of Europe Publishing 2009) 1.

7 There are some ways in which broadcast content can be harmful to public health. For instance, there is potential for direct physical harm caused by flashing lights in broadcast content which may trigger seizures for those with photosensitive epilepsy. Some jurisdictions have laid down standards for broadcasters in relation to the dissemination of such content, which could form the basis for further research in the area. See e.g. Ofcom, Broadcasting Code, Harm and Offence Section 2.12. See also Mark Sweeney, 'Citroen advert banned after causing epileptic seizure' The Guardian, 18 January 2012, < <http://www.guardian.co.uk/media/2012/jan/18/citroen-ad-epileptic-seizure>

8 Sigma Radio Television Ltd v. Cyprus, App. Nos. 32181/04 and 35122/05, 21 July 2011.

როცა მედია საშუალებები გადასცემენ დისკრიმინაციული შინაარსის ინფორმაციას, რომელიც მიემართება საზოგადოების რომელიმე ჯგუფს, მათ შორის შეიძლება იყვნენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები. აღნიშნულ საქმეში მედია კომპანიები ასაჩივრებდნენ სახელმწიფოს ჩარევას და აპროტესტებენ ამ მიზეზით მათ დაჯარიმებას. ისინი აცხადებდნენ, რომ სახელმწიფოს მიერ გამოყენებული საჯარიმო სანქციები, რომლებიც გამონგვეული იყო მედიით გავრცელებული რასისტული და გენდერული ნიშნით დისკრიმინაციული შინაარსით, არღვევდა მათი გამოსატვის თავისუფლებას. თუმცა სასამართლომ საქმის დეტალური განხილვის შედეგად მიიჩნია, რომ როცა შეზღუდვა აუცილებელია დემოკრატიული საზოგადოებისთვის და ემსახურება საზოგადოების უფლების დაცვას დისკრიმინაციისგან, შეიძლება გამართლებული იყოს და შესაბამისად, ამ საქმეზე დარღვევა არ დაადგინა.

CRPD და გამოხატვის თავისუფლება

გაეროს შშმ პირთა კონვენცია, რომელიც შეიქმნა 2006 წელს და ძალაში შევიდა 2008 წელს, უზრუნველყოფს შშმ პირთა სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას. კონვენცია იყენებს რა ადამიანის უფლებათა სხვა დოკუმენტებით გარანტირებული გამოხატვის თავისუფლების სტნდარტს, დამატებითი ვალდებულებების სახით სახელმწიფოებს აკისრებს მთელ რიგ პასუხისმგებლობებს:

კონვენციის 21-ე მუხლით გარანტირებულია სიტყვის და გამოხატვის თავისუფლება, ინფორმაციაზე თავისუფალი წვდომის უფლება ყველა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის.⁹ თუმცა მნიშვნელოვანია ის, რომ კონვენცია აფართოებს სახელმწიფოების ვალდებულებებს იმ მიზნით, რათა შშმ პირებისთვის შესაძლებელი გახდეს ინფორმაციის მოპოვება. ამისათვის აუცილებელია სახელმწიფომ უზრუნველყოს გამოხატვის უფლების შემდეგი გარანტიების უზრუნველყოფა:

- A.** ფართო საზოგადოებისათვის განკუთვნილი ინფორმაციის მისაწვდომობის უზრუნველყოფა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის, სხვადასხვა სახის შეზღუდვის შესაბამისი ფორმატითა და ტექნოლოგიების გამოყენებით, დაყოვნებისა და დამატებითი დანახარჯების გარეშე;
- B.** შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიერ ოფიციალურ ურთიერთობებში ჟესტების ენის, ბრაილის, გამაძლიერებელი და ალტერნატიული კომუნიკაციისა და სხვა მისაწვდომი საშუალებების, მოდელებისა და მათ მიერ შერჩეული საკომუნიკაციო ფორმატების მიღებისა და გამოყენების წახალისება;
- C.** საზოგადოებაში დანერგილი სერვისების, მათ შორის ინტერნეტმიწოდებელი კერძო ორგანიზაციების აქტიურად მხარდაჭერა, რათა მათ შეძლონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის ინფორმაციის მათთვის ხელსაყრელი ფორმატით მიწოდება;
- D.** მასმედიის, მათ შორის ინტერნეტის, საშუალებით ინფორმაციის მიმწოდებელთა წახალისება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მომსახურების მისაწვდომი ფორმების გამოყენებისათვის;
- E.** ჟესტების ენის გამოყენების აღიარება და წახალისება.

9 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2334289?publication=0>

როგორც ამონარიდიდან ჩანს, სახელმწიფოს ფართო საზოგადოებისათვის განკუთვნილი ინფორმაციის გავრცელების დროს მკაცრი ვალდებულება აქვს, რომ მისანვდომი გახადოს ინფორმაციის მოპოვება და გავრცელება ყველა შშმ პირისთვის. ამისთვის გამოიყენოს ტექნოლოგიური მიღწევები და სხვა თანამედროვე საშუალებები. თუმცა განსხვავებულია სახელმწიფოს როლი მედია საშუალებების და ინტერნეტპროვაიდერების საქმიანობის გაძლიერებასთან დაკავშირებით. კერძოდ, სახელმწიფო ვალდებულია „აქტიური მხარდაჭერა“ გამოიჩინოს და „ნაახალისოს“ მედია საშუალებები, როცა საკითხი ეხება ინფორმაციის მისანვდომობის უფლებას.

გამოხატვის თავისუფლების რეალიზების დროს პირს სურს თავისი იდეები ფართო საზოგადოებას გააცნოს, მიიღოს სასარგებლო რჩევები და გაავრცელოს მოსაზრებები. ამის საუკეთესო გზა სწორედ მედია საშუალებებია. მედია ამავდროულად არის კარგი წყარო შშმ პირისთვის, რომ იყოს ინფორმირებული მიმდინარე სოციალური, პოლიტიკური თუ კულტურული ცხოვრების შესახებ, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურა იმდენად მიუწვდომელია, რომ ადამიანები შესაძლოა სახლიდან ხშირად ვერც კი გადიოდნენ. მედია ამ დროს არის ადამიანის დამაკავშირებელი გარე სამყაროსთან და იმისი საშუალებაც კი დაიცვას ფუნდამენტური უფლებები და თავისუფალი ნება. აქედან გამომდინარე, შშმ პირთა გამოხატვის თავისუფლება და მედია საშუალებები ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული. ამის გათვალისწინებით, შესაძლოა, ისინი ერთმანეთს ეხმარებოდნენ ან პირიქით, ნებისთუ უნებლიედ, ხელი შეუშალონ უფლებების რეალიზებაში.

ისტორიული გამოცდილება

მედიასა და შშმ პირთა უფლებებს შორის მჭიდრო კავშირი რამდენიმე წლის წინ შეისწავლეს. ეს არის კავშირი მედიას, შშმ პირის იმიჯსა და დისკრიმინაციას შორის. ჯერ კიდევ 1966 წელს, შშმ მწერალი Paul Hunt წერდა: „დავიღალეთ იმით, რომ ვართ სტატისტიკა, საქმეები, შესანიშნავი გმირობის მაგალითები მსოფლიოსთვის, საბრალო ობიექტები დაფინანსების სტიმულირებისთვის“.¹⁰

1970-იან წლებში, როცა ამერიკის შეერთებულ შტატებში დაიწყო მოძრაობა დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის, ამერიკელი მწერლები დააკვირდნენ ზოგად კულტურულ სტერეოტიპებს მედია საშუალებებში. შშმ პირების შესახებ სტერეოტიპები აისახებოდა წიგნებში, ზღაპრებში როგორც აშშ-ში, ისე დიდ ბრიტანეთში.¹¹

1980-იან წლებში დაიწყო აქტიური პროტესტი შშმ პირთა მიმართ სტერეოტიპების წინააღმდეგ, ჯერ თავად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა და მათი ორგანიზაციების მხრიდან, შემდგომ ამას მედიასთან დაკავშირებული პირები და ორგანიზაციები აპროტესტებდნენ. ორგანიზაციის London's Liberation Network წევრებმა, რომლებიც უმეტესად იყვნენ შშმ პირები, მონაწილეობა მიიღეს ჟურნალისტების ეროვნული კავშირის (National Union of Journalists (NUJ)) კამპანიაში სახელწოდებით- „კამპანია რეალური ადამიანებისთვის, რათა აღმოიფხვრას შშმ პირთა მიმართ სტერეოტიპები პრესაში“.¹²

10 HUNT, P. (1966) Stigma: The Experience of Disability, London, Geoffrey Chapman.

11 BIKLEN, D. and BOGDANA, R. (1977) 'Media Portrayal of Disabled People: A Study of Stereotypes' Inter-Racial Children's Book Bulletin, 8, 6 and 7, pp. 4-9.

12 ARMSTRONG, K. and MOORE, W. (1985) 'Shut Out by the Media, Journalist, October, p. 2.

ამ პერიოდში მნიშვნელოვანი ინიციატივები გაჩნდა:¹³

- მედია ორგანიზაციების იგნორირება შშმ პირთა მიმართ შესაძლოა შემცირებულიყო, თუ შშმ პირები დასაქმდებოდნენ თავად ამ მედია დაწესებულებებში ყველა დონეზე. თუ შშმ პირები თავად ვერ შეძლებდნენ აქტიურად გაემუქებინათ საკუთარი პრობლემები, მათ შორის ის, თუ როგორ იყვნენ წარმოდგენილნი მედია საშუალებებში, თავად მედია უნდა ყოფილიყო ინიციატორი მათი პროცესებში ჩართვის;
- ყველა მედია საშუალება უნდა წახალისებინათ, გაეზღოთ ტრენინგები შშმ პირთა უფლებების შესახებ, რომლებსაც თავად შშმ პირები ჩაატარებდნენ. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნებოდა გადანაცვეტილების მიმღებ პოზიციაზე მყოფი პირებისთვის, რომლებიც წყვეტენ ინფორმაციის, გადაცემებისა და კამპანიების შინაარსს;
- შშმ პირებისა და მათი ორგანიზაციების მიერ ჩამოყალიბდებოდა საკონსულტაციო ჯგუფები, რომელთა საშუალებითაც მედია ორგანიზაციები პერიოდულად შეძლებდნენ რჩევების მიღებას;
- კვლევების ჩატარების საფუძველზე უნდა შემუშავებულიყო მედიის ეთიკის წესები, რომლებშიც ბუსტად იქნებოდა განერილი, თუ როგორ უნდა იმუშაოს მედიამ, როცა აშუქებს შშმ პირებს ან მათთან დაკავშირებულ საკითხებს, ან ამზადებს გადაცემებს მათი მონაწილეობით.

ხშირად გამეორებული მედია სტერეოტიპები

დღეს მედიასა და შშმ პირთა თემში უკვე არსებობს დანერგილი ან ზეპირი შეთანხმებით მიღებული წესები იმის შესახებ, თუ როგორი გაშუქებაა დამაზიანებელი შშმ პირთა თანასწორობისთვის. ამ წესებზე თითქმის აღარ დავობენ, თუმცა, სასურველია, განხილვის შემდეგ ისინი საქართველოშიც საყოველთაო შეთანხმებად მივიჩნიოთ და აღარ გავიაროთ ის რთული გზა, რომელიც სხვა ქვეყნებმა ამ წესების აღიარებამდე გაიარეს:

შშმ პირი - სიბრაღის ობიექტი

ასეთი დამოკიდებულება შშმ პირების მიმართ განსაკუთრებით გააძლიერა სატელევიზიო გადაცემებმა, შოუებმა, რომლებშიც აჩვენებდნენ შშმ ბავშვებს უკიდურეს გაჭირვებაში. ასეთი გადაცემები იწვევდა სიბრაღულს მაყურებლებში. შეზღუდული შესაძლებლობის არმქონე მაყურებელს კი უჩენდა განცდას, რომ ის არის კეთილშობილი და ვალდებულია დაეხმაროს შშმ პირს. მედია საშუალებების მიერ შშმ პირთა პრობლემების რეგულარულად ასეთი კუთხით გაშუქება აზიანებს მათ იმიჯს, განსაკუთრებით მიუღებელია ბავშვების ფოტოების გამოქვეყნება მედიაში, სადაც ისინი უმეტესად მოწყვლად მდგომარეობაში არიან გადაღებულნი, მაგალითად საავადმყოფოში. ბავშვთა სახლები ინარჩუნებს და აძლიერებს მითს შშმ პირების შესახებ, რომ შეზღუდული შესაძლებლობა არის დაავადებების, უკიდურესი გაჭირვებისა და ტანჯვის სინონიმი. მუდმივი აქცენტი მათი ჯანმრთელობის მდგომარეობაზე აიძულებს

13 CAMPBELL, J. (1990) An untitled paper given at a seminar on 'Creating a Positive Image: The BBC and Disability', 25 October 1990.

მაყურებელს მხოლოდ სამედიცინო კუთხით იფიქროს და მთლიანად დაივიწყოს მათი ინტერესები ადამიანის უფლებების კონტექსტში, ასევე სოციალურ საკითხები, რაც უფრო ამძიმებს საზოგადოებაში შშმ პირად ყოფნას.

ჭარბი მრძნობელობით სავსე მედია გადაცემები იწვევს ყალბ თანაგრძნობას, რაც საზოგადოებაში მხოლოდ პატრონაჟის სურვილს აჩენს და შერაცხმყოფელია შშმ პირებისთვის. ბევრი ჟურნალისტი ცდილობს გამოიყენოს ე.წ. ნეიტრალური ენა გაშუქების დროს, თუმცა მათი სიუჟეტების ტონი კვლავ სტერეოტიპულია, მაგალითად, ისინი ცდილობენ შშმ პირები, როგორც თემი, გამოიყვანონ გმირებად, უიღბლოებად, მსხვერპლებად და სხვა. ყველაზე ცუდ შემთხვევაში კი მედია იყენებს შეურაცხმყოფელ ტერმინებს, მაგ. „ინვალიდი“, „სანოლს მიჯაჭვული“ და სხვა. ასევე შშმ პირების სახელების, კონკრეტული მახასიათებლების, ისტორიების გარეშე მოხსენიება ხელს უწყობს მათ დეპერსონალიზებას, რაც შშმ პირისთვის ადამიანურად არის დამამცირებელი.¹⁴

შშმ პირი - ძალადობის ობიექტი

რეალურ ცხოვრებაში შშმ პირები, სხვებთან შედარებით, მართლაც ხდებიან ძალადობის მსხვერპლნი და ამას აშუქებს მედიაც, თუმცა ამ პრობლემის ისე წარმოჩენა, რომ შშმ თემი არის ტოტალურად მოწყვლადი, პირიქით, ხელს უწყობს ასეთი ძალადობის შენარჩუნებას. ისტორიულად შშმ პირებზე ყოველთვის ძალადობდნენ, მაგალითად, ძველი ბერძნები და რომაელები დიდი ენთუზიაზმით ადვოკატირებდნენ შშმ ახალშობილების მკვლელობას. შუა საუკუნეების ევროპელები შშმ პირებს ეშმაკეულებად მიიჩნევდნენ. ზოგიერთ საზოგადოებაში შშმ პირის მკვლელობა წახალისებული იყო რელიგიური ლიდერების მხრიდანაც. ინდუსტრიული რევოლუციის პერიოდიდან მეცნიერება შეეწინააღმდეგა ისტორიულ უსამართლობას შშმ პირების მიმართ და ამგვარი მკვლელობები უკვე ისტებოდა კანონით. ამ პროგრესში მედიამაც შეიტანა წვლილი.¹⁵

შშმ პირი - სუპერ გმირი

მედია შშმ პირებს ხშირად წარმოგვიდგენს სუპერძალის მქონე პირებად, რომლებსაც სხვებთან შედარებით არაამაქვეყნიური შესაძლებლობი აქვთ. მაგალითად, უსინათლო ადამიანები წარმოჩენილნი არიან, როგორც მე-6 გრძნობის, სუპერსმენის მქონე პირები. მედია ახალი ამბები პოზიტიური თვალსაზრისით აშუქებს შშმ პირს მაშინ, როცა ცდილობს მისგან სუპერგმირი გამოიყვანოს, ისეთი, რომელიც აოცებს მაყურებელს. დაუჯერებელს ხდის მის უნარს და ხაზს უსვამს განსაკუთრებულ შესაძლებლობას, რომელიც მხოლოდ შშმ პირს შეიძლება ჰქონდეს.

შშმ პირი - დაცინვის ობიექტი

მედიის გასართობ გადაცემებში ხშირად შშმ პირს წარმოაჩენენ სასაცილო ისტორიების ობიექტებად. ამგვარი პრაქტიკა, სამწუხაროდ, მავნე ტრადიციად იქცა. გასართობ გადაცემებში წარმოჩენილი არიან ძირითადად ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე შშმ პირები, როგორც

14 An Exploration of the Principles for Media Representations of Disabled People the First in a Series of Reports. COLIN BARNES THE BRITISH COUNCIL OF ORGANISATIONS OF DISABLED PEOPLE, Ryburn Publishing.

15 იქვე, გვ. 11

დაცინვის საგანი. იუმორის ამგვარი შინაარსი გასაკუთრებით გამოყენებულია შეზღუდული შესაძლებლობის არმქონე წამყვანების თუ მონაწილეების მიერ კომედიურ ჟანრში.

ასეთი მიდგომა მედიის მხიდან მნიშვნელოვან ყურადღებას მოითხოვს, რადგან ის განსაკუთრებით აძლიერებს სტიგმას საზოგადოებაში და მითს იმის შესახებ, რომ შშმ პირი სერიოზულად არავინ უნდა აღიქვას. მეორე მხრივ, ის იწვევს მნიშვნელოვან ტრავმას თავად შშმ პირსა და მისი ოჯახის წევრებში. ძალადობრივი, შეურაცხმყოფელი იუმორი განსაკუთრებით დამაზიანებელია მაშინ, როცა მედიაში შშმ პირის პოზიტიური ჩვენება პრატიკულად იშვიათი გამონაკლისია. შესაბამისად, შშმ პირის იმიჯი, რომელიც ხელოვნურადაა შექმნილი მედიის მიერ, არის სტერეოტიპული და მიმართულია ამ სტერეოტიპების შენარჩუნებისკენ.

შშმ პირი - ტვირთი

სტერეოტიპი დაკავშირებულია მოსაზრებასთან, რომ შშმ პირები არიან უუნაროები და აუცილებლად საჭროებენ სხვების მხრიდან დახმარებას. ეს შეხედულებები ასაზრდოებს მითს, რომ შშმ პირს, საჭირო მხარდაჭერის პირობებშიც კი, არ შეუძლია ისევე მიაღწიოს წარმატებას და დამოუკიდებელ ცხოვრებას, როგორც სხვა პირი შეძლებდა ამას. სწორედ ეს სტერეოტიპები ასაზრდოებდა 1930-იან წლებში, გერმანიაში შშმ პირების, მათ შორის, ბავშვების მიმართ, „ეუთანაბნის პროგრამის“ პროპაგანდისტურ ფილმებს. ამ ფილმებში შშმ პირები მოხსენიებულნი არიან, როგორც „არსებები სიცოცხლის გარეშე“ და არასასურველი ტვირთი, რომელიც უნდა მოიშორო.¹⁶ მათ მიმართ ამგვარი დამოკიდებულება ხშირად შეინიშნება თანამედროვე მედია საშუალებებშიც.

შშმ პირი - სექსუალურად არააქტიური ადამიანი

ჯერ კიდევ უძველესი დროიდან არსებობს წინასწარგანწყობები შშმ პირთა სექსუალობის შესახებ. ამ სტერეოტიპს ვხვდებით როგორც წიგნებში, ისე სხვა წყაროებში, რომელთა მიხედვით, შშმ პირები სექსუალური თვალსაზრისით არ არსებობენ, ამიტომ მათი ცხოვრება არც ღირს. გარდა იმისა, რომ საშიშია ასეთი მსჯელობა, ის სიმართლეს არ შეესაბამება.

წარმოდგენები შშმ ქალებისთვის სექსუალური ცხოვრების არარსებობის შესახებ აქტუალურია მედიაში და ხშირად წარმოდგენილია, როგორც კარგი არგუმენტი ვაცის მხრიდან ღალატის მორალური გამართლებისთვის. მაგალითად, BBC-ის ორ ცნობილ სატელევიზიო დრამაში - 'Goodbye Cruel World' და 'A Time to Dance'- ვაცები ღალატობენ ცოლებს, რადგან ცოლები არიან შეზღუდული შესაძლებლობების.¹⁷ ასეთი დამოკიდებულების ტირაჟირება მედია გარემოში მხოლოდ ამცირებს შშმ ქალის სტატუსს საზოგადოებაში.

მედიაში შშმ პირებთან მიმართებით ერთ-ერთი წამყვანი თემაა მენტალური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირების მიმართ არსებული სტერეოტიპი, რომელიც მათ ქცევას ხშირად გარყვნილებასთან აკავშირებს.

16 Selling Murder: The Killing Films of the Third Reich, Domino Films, shown on Channel 4 on 22 October 1991.

17 DISABLING IMAGERY AND THE MEDIA, An Exploration of the Principles for Media Representations of Disabled People, the First in a Series of Reports, COLIN BARNES, p.16

მედიის კომიტიური როლი

მედიას, მიუხედავად იმისა, რომ ისტორიულად ნაკლები გამოცდილება აქვს პოზიტიური როლი ეთამაშა შშმ პირთა ცხოვრების გაუმჯობესებაში, დღეს ეძლევა უნიკალური შესაძლებლობა იყოს ფლაგმანი ამ მიზნის მისაღწევად. გამოხატვის თავისუფლების უფლების რეალიზების დროს არსებითად მნიშვნელოვანია მედია ორგანიზაციების მიდგომები და ქცევა. როგორ გავლენას ახდენს მათ მიერ მიწოდებული ინფორმაცია მოსახლეობაზე-პოზიტიურს თუ ნეგატიურს. ამ თვალსაზრისით, მედიის ეთიკის წესები და პრინციპები უნდა იყოს განხილული შშმ პირთა უფლებების ჭრილში.

მედიაში გამოყენებული ტერმინები

საზოგადოების ცნობიერებაში არსებული მცდარი წარმოდგენები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ უპირატესად ტერმინების ნეგატიური კონოტაციით გამოყენებას ეხება. ასეთი გამონათქვამებია: „ინვალიდი“, „სანოლს მიჯაჭვული“ „ უუნარო“, „ავადმყოფი“. ამ ტერმინებში, შესაძლოა, მართლაც არაფერი იყოს მიუღებელი, მაგრამ არსებული რეალობა ცვლის ამ სიტყვების გამოყენების მიზანსა და მიზანშეწონილობას. როგორც წესი, აღნიშნული სიტყვები ნეგატიური შინაარსით, აგრესიის, შურაცხყოფის, დამცირების, დაცინვის მიზნით გამოიყენება ადრესატების მიმართ. აუცილებელი არ არის ამ სიტყვებით მოიხსენიებდნენ მხოლოდ შშმ პირს, სხვა ადმაიანების მიმართ გამოყენების დროსაც კი მთელი შინაარსი არის ის, რომ შშმ პირები, მათი დიაგნოზისა თუ შესაძლებლობების გათვალისწინებით, გამოყენებულნი არიან, როგორც სალანძღავი პირები. შესაბამისად, დამაზიანებელ როლს არ ცვლის ადრესატების ვინაობის ცვლილება. გარდა ამისა, პრაქტიკა აჩვენებს, რომ დისკრიმინაციული მოპყრობა შშმ პირების მიმართ იწყება სწორედ დამამცირებელი, სტერეოტიპული მიმართვებით და შემდგომ ის გადადის მოქმედებაში. სწორედ ამ დროსაც ირღვევა მათი კონკრეტული უფლებები.

შესაბამისად, თუ ჩვენი მიზანი არის მრავალფეროვანი მედია გარემოს ხელშეწყობა, მთავარი აქცენტი სწორედ ტერმინებზე უნდა გადავიტანოთ, რაც, დიდი ალბათობით, პოტენციურად დამაზიანებელი ქცევის პრევენციის შესაძლებლობას მოგვცემს.

გაშუქებისას არსებული რისკები

მონყალების მიმღები

როდესაც მედია წარმოაჩენს შშმ პირს სხვადასხვა კონტექსტითა და ფორმით, მან უნდა იცოდეს, რომ მაყურებელს არ აქვს სრული წარმოდგენა იმ სოციალური ბარიერების შესახებ, რომლებიც ამ ადამიანებს რიყავს საზოგადოებისგან, ხელს უშლის მათ დამოუკიდებელ ცხოვრებას. ცხოვრობდე შშმ პირის ცხოვრებით, ნიშნავს იყო კონფრონტაციაში ყოველდღიურად სოციალურ ბარიერებთან. შშმ პირის წარმოჩენა მედიაში, ნებისმიერი კონტექსტის მიუხედავად, რომელიც არ ასახავს სწორად მათ წინაშე არსებულ რეალურ ბარიერებს, არის უკიდურესად არასწორი და მათ წინაშე არსებული ბარიერების გახანგრძლივების წინაპირობა. ამის გააზრება მედიის მხრიდან არსებითად აუცილებელია.

ამ თვალსაზრისით, მედია უნდა მოერიდოს შშმ პირის გამუქებას, როგორც ქველმოქმედების და სიბრალეულის ობიექტისა. ყველა ადამიანი უნდა წარმოაჩინოს, როგორც თანასწორი, მიუხედავად მათი საჭიროებებისა. გამოირიცხოს შშმ პირის, როგორც მონყალების მიმღების, პორტრეტის დახატვა მედია პროდუქტის მომზადებისა და გამუქების დროს.

შშმ პირის ინდივიდუალობა

თითოეული შშმ პირი არის ინდივიდი თავისი კომპლექსური პერსონალური მახასიათებლებით, სახვე ემოციებით/გრძნობებით და ყოველდღიური აქტივობებით. ნებისმიერი შინაარსის საკითხის განხილვის დროს ეს არ უნდა დაივიწყოს მედიამ და სწორედ ამის გათვალისწინებით აჩვენოს ისტორია. როგორც ყველა ადამიანი, შშმ პირები განიცდიან მწუხარებას, ბედნიერებას, სიხარულს, წყენას, პროტესტს, ბრამს, დეპრესიას და ა.შ. ისინი სხვების მსგავსად არიან პროფესიონალები, დები, ძმები, მშობლები, შვილები, თანამშრომლები და სხვა. ეს მრავალფეროვნება მაქსიმალურად უნდა იყოს ნაჩვენები მედიაში.

მედია უნდა მოერიდოს ნებისმიერი სახის ფიზიკური და ინტელექტუალური მახასიათებლის წინ წამოწევას, როგორც ერთადერთი ფაქტორისა ადამიანის პიროვნების დახასიათების დროს. განსაკუთრებით ყურადღებით უნდა იყოს მედია, როდესაც უსაფუძვლო კორელაციას აკეთებს შებღვალულ შესაძლებლობასა და დანაშაულებრივ ქცევას შორის.

კომედია, სენსაცია, სუპერგმირობა მედიაში

მედია განსაკუთრებით ფრთხილი უნდა იყოს, როდესაც ქმნის შშმ პირის მახასიათებლების გამოყენებით იუმორისტულ, სენსაციურ თუ გმირობაზე ორიენტირებულ ისტორიებს. უნდა ერიდოს შშმ პირის, როგორც დაცინვის მაგალითების გამოყენებას, თუნდაც იუმორისტულ გადაცემებში. თუმცა ამ თემის შესახებ არის განსხვავებული აზრიც, როდესაც თავად შშმ პირები გვევლინებიან კომედიის ავტორად და თავიანთ მდგომარეობაზე იუმორისტულ გადაცემას აკეთებენ.

მედიას იზიდავს სენსაციური შინაარსი, თუმცა დიდი სიფრთხილვა საჭირო, როდესაც არის ცდუნება შშმ პირის ცხოვრების ესა თუ ის ეპიზოდი გააშუქოს, როგორც მხოლოდ მსხვერპლის ან მოძალადისა. დამაზიანებელია მსგავსი სტრეოტიპული მოსაზრებების გაზიარება მედია საშუალებების მიხედვით. ეთიკური მედია მაუწყებლობა უნდა ეყრდნობოდეს მართალ ინფორმაციას და ფაქტებს, ამით ცვლიდეს საზოგადოების მცდარ წარმოდგენებს. ხშირად, პირიქით, შშმ პირი წარმოჩენილია, როგორც სუპერმესაძლებლობის მქონე ადამიანი ამოუცნობი უნარებით, რაც, ბუნებრივია, არ არის რეალობა და არასწორ სტერეოტიპებს აჩენს.

რეპორტაჟების მომზადების დროს გასათვალისწინებელი მნიშვნელოვანი საკითხები

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციისა და რეაბილიტაციის საერთაშორისო ორგანიზაციის თანახმად, ეთიკური რეპორტაჟების მომზადებისთვის მედია საშუალებებმა შეიძლება გაითვალისწინონ შემდეგი საკითხები:¹⁸

1. მიეცით საშუალება თავად შშმ პირმა ისაუბროს საკითხებზე, რომელთაც აშუქებთ მის შესახებ. გამოცდილება აჩვენებს, როცა შშმ პირი თავად გვიამბობს საკუთარ პრობლემებზე, გაცილებით დამაჯერებელია მაყურებლისთვის;
2. ეცადეთ, რომ საზოგადოებამ სრულყოფილად მიიღოს ინფორმაცია იმ საკითხებზე, რომლებიც აწახეხთ შშმ პირებს;
3. ეცადეთ შეენიანაღმდეგოთ მითებს, რომლებიც არსებობს შშმ პირების მიმართ;
4. საზოგადოებას მიაწოდეთ რეალური ინფორმაცია შშმ პირებთან დაკავშირებით. მედიას აქვს გავლენა შეცვალოს საზოგადოების დამოკიდებულებები შშმ პირთა მიმართ. მაგალითად, შეიძლება აჩვენოს ან აუხსნას მაყურებელს, თუ როგორ უნდა ვეკონტაქტოთ უსინათლო ან სმენის არმქონე პირს. მიეცით სწორი მაგალითები;
5. იქონიეთ კავშირი შშმ პირებსა და მათ ორგანიზაციებთან, რომ ხშირად მიიღოთ კონსულტაციები და გაიგოთ თანამედროვე მიდგომების შესახებ;
6. იმუშვეთ შშმ პურნალისტებთან ერთად ან აზრი დაეკითხეთ იმ კოლეგებს, რომელთაც ჰყავთ შშმ ოჯახის წევრები, რათა გაიგოთ როგორ გაშუქდეს ეთიკურად საკითხები და შშმ პირის როგორი იმიჯი წამოაჩინოთ მედია საშუალებებით;
7. მიუხედავად იმისა, რომ ხალხს უყვარს გმირები, ნუ აქცევთ შშმ პირს გმირად ან ჯადოსნური შესაძლებლობის მქონე ადამიანად. აჩვენეთ ის, როგორც ერთი რიგითი მოქალაქე, მისი მრავალფეროვანი პიროვნული მახასიათებლებით;
8. მოერიდეთ წარმოაჩინოთ შშმ პირისგან უმწეო, მსხვერპლი ან მოძალადე. ყველა ინფორმაციას დაურთეთ შესაბამისი კვლევა, რომ გამორიცხოთ სტერეოტიპული მსჯელობის შესაძლებლობა მედია სიუჟეტში.

¹⁸ ILO and Rehabilitation International: Working together with the media - A practical guide for people with disabilities, 1994, p.26

ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე პირები მედიასა და სოციალურ მედიაში

ჯერ კიდევ 1985 წელს, ბრიტანეთის პარლამენტის მოთხოვნით, მთავრობამ აღიარა, რომ ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე პირების ინკლუზიას, სხვა ფაქტორებთან ერთად, საზოგადოებაში გავრცელებული სტერეოტიპები აფერხებდა.¹⁹ როგორც სხვადასხვა კვლევა მიუთითებს, შშმ პირების შესახებ სოციალურ გავრცელებული შეხედულებები ხელს უშლის მათ მიერ ურთიერთობების ჩამოყალიბებას თანატოლებთან.²⁰ ასევე ხელს უშლის სხვადასხვა სერვისის მიღებაში.²¹ თემზე დაფუძნებული მომსახურებების წარმატებაც მნიშვნელოვნად განისაზღვრება იმით, თუ რა განწყობებია საზოგადოებაში ამ პირების მიმართ.²²

ინტელექტუალური დარღვევის მქონე პირებს ხშირად მედიაში წარმოადგენენ გარკვეული საფრთხის შემცველ ადამიანებად, რომლებმაც თავიანთი ქცევით შესაძლოა სხვა დააზიანონ. გარდა იმისა, რომ ეს არასწორი წარმოდგენა ვრცელდება საზოგადოებაში, მან შესაძლოა გავლენა მოახდინოს თავად შშმ პირებზეც. ინტელექტუალური დარღვევის მქონე პირმა, სახიფათოა, ზუსტად ის როლი მოიგოს, როგორი მოლოდინიც არის მის მიმართ შექმნილი.²³

ბრიტანეთში ჩატარდა რამდენიმე სამეცნიერო კვლევა. მათზე დაყრდნობით შეისწავლეს ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე პირების საკითხების გაშუქება ბეჭდვით მედიაში, რომელიც კარგად ასახავს, ზოგადად, მედიაში გავრცელებულ ტენდენციას²⁴. კვლევის შედეგების მიხედვით, გაშუქებისას, სხვა თემებთან ერთად, ხშირად გვხვდება შემდეგი საკითხები:

1. სერვისის მიწოდება ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე პირებისათვის;
2. ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე ქალების სტერილიზაცია;

ცნობილი ადამიანების ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე ნათესავების ინსტიტუციებში განთავსება.

სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარებული კვლევების შედეგად გამოიკვეთა, რომ ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე პირების გაშუქებისას ბეჭდური მედია მეტ ყურადღებას უთმობს ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე ბავშვებს, ვიდრე ზრდასრულებს²⁵. ეს ნაწილობრივ იმით აიხსნება, რომ ბავშვებთან დაკავშირებული გაშუქება უფრო მსუბუქ თემებს მოიცავს, ვიდრე ზრდასრულებისა.

რეზიუმე რენვიკმა გამოიკვლია,²⁶ როგორი იქნებოდა ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე ადამიანების მისაღები რეპრეზენტაცია მედიაში. კვლევის თანახმად:

19 Wilkinson, P., McGill, P., Representation of people with intellectual disabilities in a British newspaper in 1983 and 2001, Journal of Applied research in Intellectual Disabilities 2009, 22, 65-76.

20 Barnes C. (1991) Disabled People in Britain and Discrimination: A Case for Anti-Discrimination Legislation. Hurst & Co, London.

21 Rees L. M., Spreen O. & Harnadek M. (1991) Do attitudes towards persons with handicaps really shift over time? Comparison between 1975 and 1988. Mental Retardation 29, 81-86.

22 Siperstein G. N. (2003) Multinational Study of Attitudes Toward Individuals with Intellectual Disabilities. Special Olympics Inc, Washington, DC.

23 Wolfensberger W. (1972) The Principle of Normalisation in Human Services. NIMR, Toronto.

24 Wilkinson, P., McGill, P., Representation of people with intellectual disabilities in a British newspaper in 1983 and 2001, Journal of Applied research in Intellectual Disabilities 2009, 22, 65-76.

25 Gold N. & Auslander G. (1999) Newspaper coverage of people with disabilities in Canada and Israel: an international comparison. Disability & Society 14, 709-73

26 Rarely Seen, Seldom Heard: People with Intellectual Disabilities in the Mass Media, In book: Intellectual Disability and Stigma (pp.61-75)

- მედია არ უნდა გადაფაროს, არამედ გადმოსცეს ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე პირების ცხოვრებისეული გამოცდილებები. მნიშვნელოვანია, საზოგადოებას გააცნოს მათი ჩაგვრის მაგალითები და ბრძოლის ისტორიები გარემოში არსებულ ბარიერებთან;
- მედია ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე პირების შესახებ ინფორმაციას უნდა აშუქებდეს ხშირად, რეალისტურად, სამართლიანად. ხაზს უსვამდეს მათ საქმიანობას, მათ მოსაზრებებს, ემოციის გამოხატვას და ურთიერთობებს სხვა ადამიანებთან;
- სასურველია, მედია შეზღუდულ შესაძლებლობებს აშუქებდეს, როგორც ერთ-ერთ ასპექტს და არა მთავარ მახასიათებელს. მნიშვნელოვანია მედია აუდიტორიას აჩვენოს, რომ ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე პირებს არაერთი როლი და იდენტობა აქვთ. ძალიან საინტერესოა საზოგადოება გაეცნოს ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე პირს არა იმ ნიშნით, რომ მას რაიმე შეზღუდვა აქვს, არამედ მისი, როგორც შვილის, დედის, ძმის, პროფესიონალის, მეზობლის, კოლეგაციონერის, სპორტსმენის და ა.შ. როლით. მისი ინტერესებით, ჰობით, აქტივიზმით ადამიანის უფლებების, გარემოს უფლებების დაცვის და სხვა კუთხით საქმიანობის დროს;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის გაშუქება ისე, როგორც იგი თავად ხედავს საკუთარ თავს, ერთ-ერთი ყველაზე მისაღები ფორმაა მედიაში.

1968-1997 წლებში შეისწავლეს ჰოლივუდში ამ პერიოდში გადაღებული ფილმები ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე პირებზე. მათი უმეტესობა ამ ადამიანებს წარმოადგენდა, როგორც ტვირთს და პრობლემას, რომელიც უნდა დამალო. ასევე ტრაგიკულ მოვლენად აღიქმებოდა ოჯახში ასეთი ბავშვის დაბადება. გამონაკლის შემთხვევებში ფილმები ეხებოდა ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე პირების მხრიდან დამოუკიდებელი ცხოვრების უფლების და შესაძლებლობის მოპოვებას. როგორც აღმოჩნდა, განსაკუთრებით იშვიათია ფილმები, რომლებშიც მთხრობელი თავად ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე პირი იქნებოდა.

აღსანიშნავია, რომ მედიაში ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე პირების გაშუქების შემფასებლებს, მაყურებლებს, გვახასიათებს გარკვეული ტენდენციურობა - ვუყურებთ და ვაფასებთ იმას, თუ რა ინფორმაციასაც გვანვლიან, მაგრამ ყურადღების მიღმა გვრჩება ის, რაზეც არც მათ უსაუბრიათ.

მკვლევრები²⁷ მიუთითებენ, რომ პარა-სპორტის გაშუქებისას ხშირად აქცენტს აკეთებენ მედიაში ათლეტების შეზღუდულ შესაძლებლობაზე და ყურადღებას არ აქცევენ იმ პოლიტიკურ და სოციალურ ბარიერებს, რომელთა გადალახვაც მათ მოუხდათ შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლების მოსაპოვებლად.

ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე პირთა პრობლემების გაშუქებისას, ასევე, ხშირად უყურადღებოდ ტოვებენ იმას, რა მოხდება მათ ცხოვრებაში, თუ სახელმწიფო მათ უფლებებს სათანადოდ არ დაიცავს: როგორ გაძლებენ ისინი უსახლკაროდ ქუჩაში, შესაძლოა გახდნენ სხვადასხვა ნივთიერებაზე დამოკიდებული და დაინცონ მონყალების თხოვნა. მედია არ აშუქებს იმ კავშირს, რომელიც დაანახებდა მაყურებელს მიზეზ-შედეგობრივ დამოკიდებულებას ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე პირთა დისკრიმინაციასა და უსახლკაროდ დარჩენაზე. შესაძლოა, მედია ცალ-ცალკე გააშუქოს ეს ორი საკითხი, მაგრამ რა არის უსახლკარობის მიზეზი ან რა ხანგრძლივი შედეგი მოჰყვება სახელმწიფოს მხრიდან შშმ პირების უფლებების სისტემურ დარღვევას, ეს არ ჩანს.

27 Carter, N., Williams, J. (2009) A genuinely emotional week: learning disability, sport and television - notes on the Special Olympics GB National Summer Games 2009, Media, Culture & Society 34 (2).

განსაკუთრებით იშვიათად ისმის მედიაში ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე პირების ხმა და მოსაზრებები. ის, თუ როგორ და რა ფორმით გააშუქონ მათი პრობლემები, წყდება პროდიუსერების მიერ. ამ ადამიანების ნაცვლად საუბრობენ ჟურნალისტები და ექსპერტები. ითვლება, რომ მაყურებლისთვის უინტერესოა ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე პირებისგან ინტერვიუს ჩამორთმევა და მათი ეკრანზე გამოჩენა.

ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე პირები და სოციალური მედია

თავდაპირველად შევთანხმდეთ, თუ რას გულისხმობს ტერმინი „სოციალური ქსელი“. სოციალური ქსელი არის „იმ ინტერნეტ აპლიკაციების ერთობლიობა, რომელიც ეყრდნობა მსოფლიო ინტერნეტქსელის ტექნოლოგიურ და იდეოლოგიურ საფუძველს და გვაძლევს შესაძლებლობას შევქმნათ და ერთმანეთში გავცვალოთ მომხმარებლის მიერ გენერირებული შინაარსი²⁸“.

სოციალურ მედიას დღევანდელ ცხოვრებაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს. იგი წარმოადგენს არა მხოლოდ ინფორმაციის მიღების და კავშირების დამყარების რესურსს, არამედ აქვს თვითგამოხატვის და ინფორმაციის გავრცელების, იდენტობის ფორმირების, საზოგადოებაში გავლენის მოპოვების, სამსახური პოვნის, მთავრობამდე საკუთარი ხმის მიტანის და სხვა უამრავი ფუნქცია.

თუმცა სოციალური მედია მნიშვნელოვან რისკებსაც შეიცავს, იგი შეიძლება გახდეს ემოციური და კიბერძალადობის წყარო, პროფესიული და პირადი ინფორმაციის უკანონოდ გავრცელების ადგილი და გამოიწვიოს მისი მომხმარებლის სხვადასხვა ფორმით ვიქტიმიზაცია.

ყველა აღნიშნული რისკისა და უპირატესობის გათვალისწინებით, აღსანიშნავია, რომ დღეს მსოფლიოში უამრავი ადამიანი იყენებს სოციალურ ქსელს. 2019 წელს ჩატარებული კვლევის თანახმად, სტატისტიკა ასე გამოიყურება²⁹:

დასავლეთ ევროპაში მოსახლეობის - 54%, ხოლო აღმოსავლეთ ევროპაში მოსახლეობის 44% იყენებს სოციალურ ქსელს. აღნიშნულ პოპულაციაში განსაკუთრებულად აქტიურია ბავშვების და მოზარდების ჯგუფი. ბავშვები ადრე იწყებენ სოციალური ქსელის გამოყენებას და სარგებლობენ როგორც გართობის, ისე საგანმანათლებლო და სოციალური ურთიერთობების დამყარების მიზნით. ამერიკის შეერთებულ შტატებში სოციალური ქსელის გამოყენების სტატისტიკამ 87%-ს მიაღწია³⁰.

რაც შეეხება ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე პირების მხრიდან სოციალური ქსელის გამოყენებას, მკვლევარები მიუთითებენ, რომ სოციალური მედია ბევრი კუთხით შეიძლება იყოს მათთვის საინტერესო. ასეთ ადამიანებს, რომელთაც, ზოგადად, აქვთ შეზღუდული სოციალური

28 Kaplan, Andreas M., and Michael Haenlein. 2010. "Users of the world, unite! The challenges and opportunities of social media." 53(Generic): 59–68. DOI: <https://doi.org/10.1016/j.bushor.2009.09.003>

29 Borgström, Å., Daneback, K. and Molin, M., 2019. Young People with Intellectual Disabilities and Social Media: A Literature Review and Thematic Analysis. Scandinavian Journal of Disability Research, 21(1), pp.129–140. DOI:

30 Caton, S., Chapman, M., The use of Social media and people with intellectual disability: a systematic review and thematic analysis, pre-print, available at: <https://e-space.mmu.ac.uk/607152/1/Pre%20print.pdf>

ურთიერთობები, შესაძლოა, სწორედ სოციალური ქსელები აღმოჩნდეს ამ ფაქტორის კომპენსაცია. მისცეს მათ ურთიერთობის გაფართოების შანსი, ასევე მართობისა და გარიყულობის გადალახვის შესაძლებლობა³¹. ვიმედოვნებთ, სოციალური მედია ხელ შეუწყობს ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე პირების გაზრდილ მონაწილეობას საზოგადოებაში, თვითშეფასების ამაღლებას და კომუნიკაციის გაფართოებას³².

არსებობს გამოცდილება, რომლის ფარგლებშიც ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე პირთათვის შეიქმნა ქსელი, რომელიც უფრო მეტად უსაფრთხო და მისაწვდომია, ვიდრე ტიპური ქსელი. ორგანიზაციები, რომლებიც მუშაობენ ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე პირებისათვის, განსაკუთრებით აქტიურად იყენებენ ბლოგებს, ფორუმებსა და სოციალურ ქსელებს.

კვლევები ასევე მიუთითებს „ციფრული გაყოფის“ (digital divide) არსებობაზე იმ მოვლენის აღსანიშნავად, რომ ინტერნეტი უთანასწორო გარემოა სხვადასხვა უნარების მქონე ადამიანებისთვის ან სხვადასხვა მდგომარეობის მქონე პირებისათვის.³³

ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე პირებისათვის ციფრული უთანასწორობა იმაშიც ვლინდება, რომ მათ ხშირად არ აქვთ წვდომა კომპიუტერთან ან ინტერნეტთან, ამიტომაც მონყვეტილნი არიან სოციალურ ქსელებს. ამ ტიპის ბარიერებს მიეკუთვნება ასევე ფინანსური ბარიერები, რომლებიც დაკავშირებულია თუნდაც ელექტროენერჯის, საცხოვრისის და დამოუკიდებელი ცხოვრების რესურსების არქონასთან. ბევრი ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე პირი მოთავსებულია დანესებულებაში, სადაც მათ ეკრძალებათ კომპიუტერის თუ სხვა საშუალების გამოყენება. ყველაფერი ეს საბოლოოდ უკავშირდება სოციალური კაპიტალის ნაკლებობას. ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე პირები, სოციალური კაპიტალის ნაკლებობის გამო, ვერ იღებენ ამ კაპიტალიდან გამომდინარე სარგებელს.

ჩატარებულმა მეტაკვლევამ გააანალიზა ინდივიდუალური კვლევები და ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე პირების მიერ სოციალური ქსელების გამოყენებასთან დაკავშირებით შემდეგი ძირითადი საკითხები გამოყო³⁴. ამ საკითხების გათვალისწინება მნიშვნელოვანია ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე პირთა უფლებების დაცვის პროცესში, რაც სოციალური ქსელების გამოყენებაზე მისაწვდომობის გაზრდას გულისხმობს.

უსაფრთხოება და დაცვის ღონისძიებები

მკვლევრები მიუთითებენ, რომ ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე პირებისათვის მნიშვნელოვანია ციფრული უსაფრთხოების საკითხები. ეს საფრთხეები შესაძლოა შეეხებოდეს როგორც ფინანსურ, ისე სექსუალური ძალადობის რისკებს, ასევე პორნოგრაფიის გავრცელებას. მაგალითად, შვედი ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე მოზარდების გამოკითხვისას,

31 Chadwick, D.D., Wesson, C. and Fullwood, C. (2013). Internet access by people with intellectual disabilities: Inequalities and opportunities, *Future Internet*, 5, 376-397. doi:10.3390/fi5030376

32 Moreno, M., and Kolb, J.(2012). Social Networking Sites and Adolescent Health. http://www.ufrgs.br/pediatria/z3_1_5_biblio_files/Moreno_Social_networking_sites_a_dolescent_health_PediatrClinNorthAm_2012.pdf

33 Mäkinen, M. (2006). Digital Empowerment as a Process for Enhancing Citizens' Participation. *E-Learning*, 3, 381-395.

34 Caton, S., Chapman, M., The use of Social media and people with intellectual disability: a systematic review and thematic analysis, pre-print, available at: <https://e-space.mmu.ac.uk/607152/1/Pre%20print.pdf>

რომელთაც ჰქონდათ ინფორმაცია პოტენციურ საფრთხეებზე, გამოვლინდა³⁵, რომ ისინი საკუთარ პერსონალურ ინფორმაციას მაინც ანდობდნენ უცხო პირებს სოციალურ ქსელში და გეგმავდნენ შეხვედრებს უცხო ადამიანების სახლში.

უსაფრთხოების საკითხები ასევე მოიცავდა ვიბერ-ბულინგის რისკებს სოციალურ მედიაში³⁶. მათ მიმართ ვიბერბულინგი, სხვა საკითხებთან ერთად, ასევე გულისხმობდა შენიშვნებს მათ გარეგნობასა და შეზღუდულ შესაძლებლობაზე.

იყო შემთხვევები, რომ ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე პირების ოჯახის წევრები და მზრუნველები ბლოკავდნენ გარკვეულ საიტებს, რომლებიც, მათი აზრით, შეიცავდა პორნოგრაფიას ან ძალადობრივ შინაარსს. თუმცა, მკვლევარების აზრით, ეს ქმედება მზრუნველების მხრიდან შესაძლოა ინტერესთა კონფლიქტს წარმოადგენდეს, ვინაიდან მათი მზრუნველის როლი ეწინააღმდეგება მათ მოვალეობას, წაახალისონ ამ პირის დამოუკიდებლობა³⁷.

სოციალური იდენტობა

კვლევების თანახმად,^{38 39} ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე პირებისათვის სოციალურ ქსელში ყოფნა წარმოადგენს მათი სოციალური იდენტობის გამოვლენის და სხვებისთვის ხმის მიწვდენის მძლავრ ინსტრუმენტს. ისინი ხშირად საუბრობდნენ სოციალურ ქსელში თავიანთ გამოცდილებებზე, ცხოვრებაზე, გრძნობებზე და ამით ურთიერთობას ამყარებდნენ სხვა ადამიანებთან. შესაძლოა, იდენტობა, რომელსაც ისინი წარმოადგენდნენ, განსხვავდებოდა მათი ბუნებრივი იდენტობისგან „არავირტუალურ სამყაროში“, მაგრამ ამ არჩევანის არსებობაც მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო მათთვის. ზოგი მონაწილე მიუთითებდა, რომ სოციალური ქსელი არის ის პოზიტიური ადგილი, სადაც მათ შეუძლიათ იყვნენ ის, ვინც სურთ რომ იყვნენ ისე, რომ არ მოხდეს მათი სტიგმატიზაცია. თუმცა აღნიშნული ყოველთვის ასე არ არის.

მხარდაჭერა სოციალური ქსელის გამოყენებაში

ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე პირების მნიშვნელოვანი რაოდენობა ითხოვდა მხარდაჭერას სოციალური ქსელის მისაწვდომობასა და გამოყენებაში. ერთ-ერთი კვლევის ფარგლებში⁴⁰ გაარკვიეს, რა ტიპის მხარდაჭერა სჭირდებოდათ მათ ტიპური სოციალური ქსელის გამოსაყენებლად, ეს მხარდაჭერა აღმოჩნდა დახმარება:

35 Löfgren-Mårtenson, L. (2008). Love in Cyberspace: Swedish young people with intellectual disabilities and the Internet. *Scandinavian Journal of Disability Research*, 10, 125-138.

36 Didden, R., Scholte, R.H.J., Korziliua, H., de Moor, J.M.H., Vermeulen, A., O'Reilly, M., Lancioni, G.E. (2009). Cyberbullying among students with intellectual and developmental disability in special education settings. *Developmental Neurorehabilitation*, 12, 146-151. doi: 10.1080/17518420902971356

37 Seale, J.K. (2007). Strategies for supporting the online publishing activities of adults with learning difficulties. *Disability & Society*, 22, 173-186.

38 Holmes, K. M., and O'Loughlin, N. (2014). The experiences of people with learning disabilities on social networking sites. *British Journal of Learning Disabilities*, 42, 3-7. Hoppstad, B.S. (2013). Current perspective regarding adults with intellectual and developmental disabilities accessing computer technology. *Disability and Rehabilitation: Assistive Technology*, 8, 190-194. doi:10.3109/17483107.2012.723239

39 Kydland, F., Molka-Danielsen, J., and Balandin, S. (2012). Examining the use of social media tool "Flickr" for impact on loneliness for people with intellectual disability. In *NOKOBIT 2012: Proceedings of the 2012 Norsk konferanse for organisasjoners bruk av informasjonsteknologi*, Akademika forlag, Trondheim, Norway, pp. 253-264

40 იგივე.

1. ქსელში რეგისტრაციისას, შესვლისას;
2. ფოტოების განთავსებაში;
3. კომენტარის დანერგვაში;
4. ქსელში ძიებაში.

კომენტარების დანერგვაში დახმარების პროცესში უფრო დიდი პრობლემა იყო იმის გარკვევა, თუ რა ტიპის კომენტარი იქნებოდა მისაღები საზოგადოებისთვის, ვიდრე უშუალოდ კომენტარის დანერგვის პროცესი. ანუ მათ უჭირდათ სპეციალური კიბერ-ეთიკეტის დაცვა და კიბერ-ენის შერჩევა ქსელში კომუნიკაციის დროს. მათ ასევე უჭირდათ საკუთარი აზრების გადმოცემა და შინაარსის შექმნა, თუმცა მიღებული მხარდაჭერის შემდეგ უკეთესად უმკლავდებოდნენ ამ სირთულეებს. მხარდაჭერის განვსისას აგრეთვე გასათვალისწინებელი იყო ინტერესთა კონფლიქტის თემაც.

ურთიერთობები

სოციალურ ქსელში ყოფნასთან დაკავშირებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემაა ურთიერთობების ფორმირება. მკვლევართა აზრით, შშმ პირებს სოციალურ ქსელში მეგობრებისა და ურთიერთობების შექმნის უფრო ფართო არჩევანი შეიძლება ჰქონდეთ⁴¹. ეს ურთიერთობები შესაძლოა დარჩეს ვირტუალურ სივრცეში ან რეალურ მეგობრობაში გადაიზარდოს. აღმოჩნდა,⁴² რომ რიგ შემთხვევაში ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე პირებს პრობლემა აქვთ განსაზღვრონ „მეგობრის“ ცნება, ასევე გრადაციები და დისტანცია, რომელიც არსებობს სხვადასხვა ტიპის ურთიერთობებში. აღნიშნული ინფორმაციის ჩართვა იმ საგანმანათლებლო კურსში, რომელიც მათ მიერ სოციალური ქსელების გამოყენებას შეეხება, მნიშვნელოვანია.

ბედნიერება და სიამოვნების განცდა

კვლევების ნაწილი აშკარად მიუთითებს, რომ სოციალური ქსელის გამოყენება სიამოვნების, მხიარულებისა და ბედნიერების განცდასთან არის დაკავშირებული^{43 44}. ამ დადებით ემოციებს შეუძლია მნიშვნელოვნად შეამციროს მართოსულობის განცდა, გაზარდოს ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე მოზარდების თვითშეფასება იმის ხარჯზე, რომ ისინი სწავლობენ ახალ უნარებს სოციალურ ქსელში და შეუძლიათ ამ უნარების გამოყენებით წარმატების მიღწევა⁴⁵. მათი თვითშეფასების ზრდა ასევე დაკავშირებული აღმოჩნდა იმ მოვლენასთან, რომ სოციალურ

41 Löfgren-Mårtenson, L. (2008). Love in Cyberspace: Swedish young people with intellectual disabilities and the Internet. *Scandinavian Journal of Disability Research*, 10, 125-138

42 Holmes, K. M., and O'Loughlin, N. (2014). The experiences of people with learning disabilities on social networking sites. *British Journal of Learning Disabilities*, 42, 3-7. Hoppestad, B.S. (2013). Current perspective regarding adults with intellectual and developmental disabilities accessing computer technology. *Disability and Rehabilitation: Assistive Technology*, 8, 190-194.

43 Didden, R., Scholte, R.H.J., Korziliua, H., de Moor, J.M.H., Vermeulen, A., O'Reilly, M., Lancioni, G.E. (2009). Cyberbullying among students with intellectual and developmental disability in special education settings. *Developmental Neurorehabilitation*, 12, 146-151. doi: 10.1080/17518420902971356

44 Holmes, K. M., and O'Loughlin, N. (2014). The experiences of people with learning disabilities on social networking sites. *British Journal of Learning Disabilities*, 42, 3-7.

45 იგივე.

ქსელში ამ ადამიანებს მიეცათ საკუთარი აზრების გამოთქმის, საუბრის, ემოციების გაზიარების და სურვილების გამოხატვის შესაძლებლობა^{46 47}.

სოციალური მედიის შინაარსი

ცალკე კვლევა დაეთმო იმის შესწავლას, თუ კონკრეტულად სოციალური მედიის რომელ სეგმენტს იყენებენ ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე მოზარდები. ერთ-ერთი კვლევის ანგარიშის თანახმად,⁴⁸ მონაცემები 12-19 წლის ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე მოზარდებთან ასე გამოიყურება:

67% - სოციალურ ქსელს;

57% - ონლაინ თამაშებს;

43% - ელექტრონულ ფოსტას;

27% - საკუთარ თავზე ინფორმაციის (ასევე ფოტოების) გავრცელებას სოციალურ ქსელში;

24% - ჩათის ფუნქციის გამოყენება;

12% - სკაიპის ფუნქციის გამოყენება.

კომუნიკაციის უნარი და ნივნიერება

როგორც აღმოჩნდა⁴⁹, წერიტი კომუნიკაციის პრობლემა არის ერთ-ერთი გადამწყვეტი ბარიერი სოციალური ქსელების გამოყენებისას ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე პირების მხრიდან. ხშირად ეს ბარიერი იწვევს ამ ადამიანების ფრუსტრაციას და საჭიროებს მათთვის ალტერნატიული კომუნიკაციის შესაძლებლობის მიცემას. ცალკე პრობლემაა საკუთარი აზრის გამოხატვის გამოცდილების არქონა⁵⁰. ვინაიდან ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე პირებს ხშირად არ აქვთ შესაძლებლობა ნარატიული ფორმით გადმოსცენ თავიანთი აზრები, მათ უჭირდათ სოციალურ ქსელში თითგამოხატვა და ამის გამო ხშირად რჩებიან იმედგაცრუებულნი.

46 Kydland, F., Molka-Danielsen, J., and Balandin, S. (2012). Examining the use of social media tool "Flickr" for impact on loneliness for people with intellectual disability. In NOKOBIT 2012 : Proceedings of the 2012 Norsk konferanse for organisasjoners bruk av informasjonsteknologi, Akademika forlag, Trondheim, Norway, pp. 253-264

47 McClimens, A. and Gordon, F. (2009). People with intellectual disabilities as bloggers. What's social capital got to do with it anyway? Journal of Intellectual Disabilities, 13, 19-30.

48 Didden, R., Scholte, R.H.J., Korziliua, H., de Moor, J.M.H., Vermeulen, A., O'Reilly, M., Lancioni, G.E. (2009). Cyberbullying among students with intellectual and developmental disability in special education settings. Developmental Neurorehabilitation, 12, 146-151. doi: 10.1080/17518420902971356

49 Keskinen, T., Heimonen, T., Turunen, M., Rajaniemi, J., and Kauppinen, S. (2012). SymbolChat: A flexible picture-based communication platform for users with intellectual disabilities. Interacting with Computers, 24, 374-386.

50 McClimens, A. and Gordon, F. (2009). People with intellectual disabilities as bloggers. What's social capital got to do with it anyway? Journal of Intellectual Disabilities, 13, 19-30.

კიბერკომუნიკაცია და კიბერეთიკეტი

სოციალურ სივრცეში გამოყენებული ტერმინები და შემოკლებული სიტყვები შესაძლოა იმდენად უცხოდ მოეჩვენოთ ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე პირებს, რომ ამის გამო უარი თქვან ქსელის გამოყენებაზე. მათთვის ასევე, შესაძლოა, გაუგებარი იყოს ერთი სიტყვის რამდენიმე მნიშვნელობა და სპეციფიკურად სოციალურ ქსელში მინიჭებული მნიშვნელობა, რამაც გამოიწვიოს მათი შეფერხება. მაგალითად, სიტყვა „ფრენდი“ (მეგობარი) სოციალურ ქსელ „ფეისბუქი“-ს მნიშვნელობით რთული აღსაქმელი გამოდგა. კიბერსივრცისთვის დამახასიათებელი ეტიკეტი ხშირად ადამიანებისგან მოითხოვს სპეციალურ ქცევას, რაც არ არის ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე პირებისთვის ცნობილი, ამიტომ მათი ქცევა, რომელიც ამ ნორმატიულ ჩარჩოში ვერ თავსდება, გარედან ჩანს უხეში, თუმცა სინამდვილეში, გამონკვეულია აღნიშნული ეტიკეტის არცოდნით. ამგვარ გამონკვევას წარმოადგენს მაგალითად „ჩათი“-ს ფუნქციის გამოყენება, რომელიც დროში განსაზღვრულია და მონაწილის მიერ უწყვეტ დასწრებას მოიაზრებს მის დასრულებამდე.

მისაწვდომობა

სოციალური ქსელის გამოყენებისას მნიშვნელოვანი ბარიერია სხვადასხვა ტექნოლოგიის შეზღუდული მისაწვდომობა ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე პირებისათვის, ისევე როგორც ვებგვერდების და ვებაპლიკაციების რთული დიზაინი. ამ კუთხით უფრო მისაღებია ინტუიციური დიზაინის მქონე ვებაპლიკაციები, რომლებიც არა წარწერებს, არამედ ფოტოებით და ნახატებით შექმნილ ინსტრუქციებს მოიცავს⁵¹. ასევე სასარგებლო იქნება სიმბოლოები და პიქტოგრამები, რომლებიც არ ითხოვს რთული ენობრივი სტრუქტურების გამოყენებას ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე პირების მხრიდან.

51 Keskinen, T., Heimonen, T., Turunen, M., Rajaniemi, J., and Kauppinen, S. (2012). SymbolChat: A flexible picture-based communication platform for users with intellectual disabilities. *Interacting with Computers*, 24, 374-386.

შეჯამება

შეჯამების სახით, შეიძლება ითქვას, რომ მედია და განსაკუთრებით სოციალური მედია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების გამოხატვის თავისუფლების ბევრ აუთვისებელ სივრცეს მოიცავს. ჩვენ შეგვიძლია ვისწავლოთ იმ რეკომენდაციებით, რომლებსაც სხვა ქვეყნების გამოცდილება გვთავაზობს და ჩვენი მხრიდან აღარ განმეორდეს იგივე შეცდომები. ამავე დროს, ციფრული მედიისა და პლატფორმების პარალელურად, გავაძლიეროთ შშმ პირები, რათა მათი ხმა ძლიერად ისმოდეს საზოგადოებაში.

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ბულინგისა და პერსონალური სივრცეების დარღვევის რისკი, ჩვენ არ უნდა ვთქვათ უარი მედიაში შშმ პირთა გამოჩენაზე. ამაზე უარის თქმა არც კანონმდებლობით შეგვიძლია, მიუხედავად იმისა, თუ რამდენად გვსურს დავიცვათ შშმ პირი შესაძლო ნეგატიური ეფექტისგან. ამ საფრთხეების შესამცირებლად უმჯობესია, შევამციროთ თავად ეს რისკები, ვიდრე მონაწილეობის შეზღუდვისკენ ვისწრაფოდეთ.

სასურველია, თავად შშმ პირებს მოვუსმინოთ, რამდენად მორგებულია დღევანდელი მედია და სოციალური მედია მათი გამოხატვის თავისუფლების რეალიზაციისთვის. მნიშვნელოვანია ვაღიაროთ, რომ ამ კუთხით შეცდომებს აუცილებლად დავუშვებთ, მაგრამ ეს შეცდომები შეიძლება შევამციროთ აღნიშნულ საკითხებზე წინასწარი ფიქრით და საკუთარი შეზღუდული შესაძლებლობების აღიარებით შშმ პირთა უფლებების დაცვის მიმართულებით.

